საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არისტარქე კოლხის დრაქმა

არისტარქე კოლხის დრაქმა, ვერცხლის მონეტა (საშ. მასა 3,25–3,75 გ), მოჭრილი კოლხეთის მმართველის არისტარქეს სახელით ძვ. წ. 52–51. ავერსზე გამოსახულია გვირგვინიანი მამაკაცი არისტარქე ან ჰელიოსი თუ პომპეუსი, რევერსზე გვირგვინიანი ქალღმერთი — ტიქე ან ფასიანე და ბერძნ. ზედწერილი: „არისტარქესი [რომელიც] კოლხეთში მმართველობდა [წელსა] თორმეტსა“.

ლიტ.: კ ა პ ა ნ ა ძ ე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969.

გ. დუნდუა